1086/3-62/22 2 09022022

1086/3-62/22
09-02-2022

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს

ბატონ კობა გვენეტაძეს

ბატონო კობა,

გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. ბოლო 3 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ საპენსიო უზრუნველყოფით გაცემული სესხების ჯამური ოდენობა და პენსიონერთა რაოდენობა წლებისა და კომერციული ბანკების მიხედვით.
2. ბოლო 3 წლის განმავლობაში კომერციული ბანკების მიერ გაცემული საპენსიო სესხის საშუალო ეფექტური და ნომინალური განაკვეთი, წლებისა და კომერციული ბანკების მიხედვით.

გთხოვთ, ჩემ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და დოკუმენტაცია მოგვაწოდოთ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ვადებში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
პაატა მანჯგალაძე

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-07/554 **554-07-2-202203021742**

02/03/2022

საქართველოს პარლამენტის წევრს
ბატონ პაატა მანჯგალაძეს
მის.: საქართველო, თბილისი, რუსთაველის გამზირი N8
საქართველოს პარლამენტის სასახლე

2022 წლის 9 თებერვლის
№1086/3-62/22 წერილის პასუხად

ბატონო პაატა,

თქვენი 2022 წლის 9 თებერვლის მომართვის პასუხად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, გიგზავნით ინფორმაციას. აქვე დავაზუსტებთ, რომ პენსიის ან სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემელის გათვალისწინებით სესხებს (ე.წ. „საპენსიო სესხებს“) გასცემს სს „ლიბერთი ბანკი“. შესაბამისად, წლების მიხედვით გიგზავნით მონაცემებს აღნიშნულ ბანკში მსესხებლების რაოდენობისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთების შესახებ:

	31 დეკემბრის მდგომარეობით	
	მსესხებლების რაოდენობა	საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი
2019	380,035	36.5%
2020	385,416	35.3%
2021	352,169	35.4%

ამასთან მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს „ლიბერთი ბანკის“ მიერ გაცემული ე.წ. „საპენსიო სესხების“ პორტფელი შეადგენდა 367,503,351 ლარს.

დამატებითი ინფორმაცია პენსიის ან სხვა სახელმწიფო სოციალური გასაცემელის გათვალისწინებით გაცემულ სესხებზე შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ პილარ 3-ის კვარტალურ ანგარიშებში შემდეგ ბმულზე: https://nbg.gov.ge/supervision/banking-supervision?pageKey=pilar3Quarter („საპენსიო სესხების“ შესახებ მონაცემების გამოქვეყნება დაიწყო 2021 წლის მე-4 კვარტლიდან).

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი